სააქციო საზოგადოება

„გრინ დაზღვევა საქართველო"

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

2023

ეკა ცენდელაძე

სააქციო საზოგადოება

„გრინ დაზღვევა საქართველო"

1. მუხლი. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. საფირმო სახელწოდება, საზოგადოების იურიდიული მისამართი

1.1. **სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო"**-ს აქციონერებს, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. სურთ მოაწესრიგონ მათი, როგორც საზოგადოების აქციონერების ურთიერთობის ძირითადი ასპექტები.

1.2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა: სააქციო საზოგადოება.

1.3. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

- ქართულად: **სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო";**,
- შემოკლებით: **სს „გრინ დაზღვევა საქართველო"**;
- ინგლისურად: **„GREEN INSURANCE GEORGIA" Joint Stock Company;**
- შემოკლებით: **„GREEN INSURANCE GEORGIA" JSC.**

1.4. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ. №4

1.5. საზოგადოების ელექტრონული საფოსტო მისამართია: **info@greenig.ge**

1.6. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის.

1.7. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.8. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი.

2. მუხლი. საზოგადოების საქმიანობის საგანი

2.1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.

2.2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია სადაზღვევო საქმიანობა, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო მომსახურება;

2.3. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.4. საზოგადოება თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამ წესდებით. ამასთან, აღნიშნული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2.5. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება, ნებართვის მოპოვება), საზოგადოება წარმართავს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ლიცენზიის (ნებართვის, სერთიფიკატის) მიღების შემდეგ.

ეკა ცერცვაძე

3. მუხლი. საზოგადოების კაპიტალი და აქციები

3.1. საზოგადოების ნებადართული კაპიტალი შეადგენს 15 000 0000 (თხუთმეტი მილიონ) ლარს.

3.2. საზოგადოების გამოშვებული აქციები დაყოფილია შემდეგი კლასის აქციებად:

- **A კლასი** - 4,350,000 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. აქციონერთა საერთო კრებაზე - **A კლასის** 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას;
- **AA კლასი** - 1,650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. აქციონერთა საერთო კრებაზე - **AA კლასის** 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 15 (თხუთმეტი) ხმის უფლებას.
- **B კლასი** - 9,000,000 (ცხრა მილიონი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. აქციონერთა საერთო კრებაზე - **B კლასის** 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას შემდეგი შეზღუდვით - **B კლასის** აქციათა მფლობელი არ მონაწილეობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ან მისი უკან გამოწვევის/განთავისუფლების პროცესში.

*<u>მხოლოდ **(A)** და **(AA) კლასის** აქციათა მფლობელებს ენიჭებათ უფლება აირჩიონ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიონ/გაათავისუფლონ ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან.</u>*

B კლასის აქციის მფლობელის წილი ამ კლასის ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში დაითვლება ამ კლასის განთავსებული აქციებიდან. ხოლო მისი წილი მთლიან განთავსებულ კაპიტალში დაითვლება საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის, ამ აქციის ნომინალური ღირებულების და ყველა კლასის განთავსებული აქციების ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით.

3.3. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს.

3.4. ამ მუხლით გათვალისწინებული აქციათა კლასების გარდა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოებამ შესაძლებელია გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც. ასევე საზოგადოებას უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით გამოუშვას ნებისმიერ სახის ფასიანი ქაღალდები ან/და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება განსათავსებელი აქციების რაოდენობა და სახე, აგრეთვე მათი განთავსების წესი და პირობები.

3.5. საზოგადოების აქციონერს წარმოადგენს პირი, რომლის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება საზოგადოების აქციათა რეესტრში ან ნომინალური მფლობელის აქციათა რეესტრში ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

3.6. საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

3.7. აქციაზე საკუთრების უფლება და მისგან გამომდინარე აქციონერის უფლებები წარმოიშობა, იცვლება და წყდება აქციათა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან ან ნომინალური მფლობელის აქციათა რეესტრში ჩანაწერის აღრიცხვის მომენტიდან, თუ ამ ჩანაწერის შესაბამისად, აქცია ნომინალურ მფლობელობაშია გადაცემული.

მუხლი 4. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

4.1. აქციონერი ვალდებულია:

4.1.1 განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;

4.1.2. შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და ამ წესდებით.

4.2. აქციონერთა წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შენატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად. დივიდენდის განაწილების შესახებ (რაოდენობა, პერიოდულობა) გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება.

4.3. აქციონერები თავიანთ ხმის უფლებას ახორციელებენ საერთო კრებაზე. აქციონერი უფლებამოსილია, საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა.

ეკა ყენყერაძე

4.4. საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

4.5. თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ ასეთი სარჩელის აღძვრის მოთხოვნით საზოგადოებისადმი მიმართვიდან 90 დღის განმავლობაში საზოგადოება არ აღძრავს სარჩელს ან ვერ დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. აქციათა გამოსყიდვა

5.1. აქციონერს უფლება აქვს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საზოგადოების რეორგანიზაციას.

5.2. აქციათა გამოსყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

5.3. აქციათა გამოსყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის ვადაში აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების გამოსყიდვა.

5.4. აქციონერს უფლება არა აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს აქციათა გამოსყიდვა, თუ:

- სრულად არა აქვს შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი;
- აქციები შეიძინა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგზავნის შემდეგ.

5.5. აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ამ მუხლის 5.2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

5.6. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

5.7. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

5.8. აქციათა გამოსყიდვა არ დაიშვება თუ:

- აქციების გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს.
- გამოსყიდვის მომენტში საზოგადოება გადახდისუუნაროა ან აქციათა გამოსყიდვის შედეგად იგი შეიძლება გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დადგეს.

5.9. საზოგადოებას უფლება აქვს, შეიძინოს საკუთარი განთავსებული აქციები და შემდგომში გაასხვისოს საკუთარი შეხედულებისამებრ. საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენა და გამოსყიდვა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ეკა ცენცერაძე

6. მუხლი. საზოგადოების მმართველი ორგანოები.

6.1. საზოგადოების მმართველი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორები.

7. მუხლი. აქციონერთა საერთო კრება.

7.1 აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოიწვევა ყოველწლიურად სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, რომელზეც განიხილება საზოგადოების წლიური შედეგები და წინამდებარე წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება გენერალური დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში აქციონერთა მოთხოვნით.

7.2. კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალურ დირექტორს და:

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

7.3. თუ ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი წესდებით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები.

7.4. საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა შეთავაზებული საკითხი შესაბამისი განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საერთო კრების დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვეულია განცხადების წარდგენის ვადა ან საკითხი არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას. საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი ცვლილების, აგრეთვე აქციონერის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტის მიმართ შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება გამოქვეყნების შესახებ ამ წესდებით დადგენილი წესები.

7.5. აუცილებლობის შემთხვევაში საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

7.6. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. საზოგადოების გენერალურ დირექტორს უფლება აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.

7.7. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

7.8. საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია საერთო კრება მოიწვიოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით და გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხი.

7.9. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე.

7.10. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის 7.9 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის სულ მცირე 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.

ეკა ცენცერაძე

7.11. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. ამ მუხლის 7.10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.

7.12. აქციონერთა კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუკი კრებას ყველა აქციონერი ესწრება და ყველა მათგანი თანახმაა კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. თანხმობად ჩაითვლება, თუკი აქციონერის მხრიდან არ იქნება გაცხადებული მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის შესახებ მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

7.13 საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

7.14. საერთო კრება ტარდება აქციონერის ან მისი წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობით, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის ფორმით. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.

7.15. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისათვის.

7.16 საერთო კრების ჩატარებამდე აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება და წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებული ხმათა რაოდენობის დასტური. უფლებამოსილების შემოწმების პროცედურის აღწერა თან დაერთვის კრების მოწვევის შეტყობინებას.

7.17. საზოგადოების გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

7.18. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.

7.19. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.

7.20. საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას კი – გენერალური დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

7.21. საერთო კრების გახსნამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია. აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, კვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

7.22. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტის მფლობელი აქციონერები (აქციონერი).

თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იმავე დღის წესრიგითა და ამ მუხლის 7.10 პუნქტით განსაზღვრული წესით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მასში მონაწილეობენ ან წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 25%-ის მფლობელი აქციონერები (აქციონერი).

თუ საერთო კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგითა და ამ მუხლის 7.10 პუნქტით განსაზღვრული წესით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.

7.23. საერთო კრების კომპეტენცია

7.23.1 საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე.

7.23.2 საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტის მფლობელი აქციონერების თანხმობით.

ეკა ცენცერაძე

7.23.3 საზოგადოების წესდებაში/სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილებები, საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილიგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების 3/4-ის მფლობელ აქციონერთა თანხმობით.

7.23.4 საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების 3/4-ის მფლობელ აქციონერთა თანხმობა.

7.23.5 ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები.

7.24. საერთო კრება უფლებამოსილია:

7.24.1. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;

7.24.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

7.24.3. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილიგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;

7.24.4. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);

7.24.5. მიიღოს ან უარყოს ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

7.24.6. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს/გაათავისუფლოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომითი ანაზღაურების საკითხი. (აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ (A) და (AA) კლასის აქციათა მფლობელი აქციონერ(ებ)ის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას).

7.24.7. დაამტკიცოს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

7.24.8. აირჩიოს აუდიტორი;

7.24.9. მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

7.24.10. მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო

8.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან.

8.2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. ამასთანავე ერთი და იმავე პირის განმეორებით არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩევა ახალი წევრი, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა წესდებით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებია. სასამართლოს მიერ დანიშნულ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის კანონით დადგენილი წესით არჩევისთანავე.

8. 3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების დირექტორი.

8.4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

ეკა კენჭოშაძე

8.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინება), სულ ცოტა რვა დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იყვნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

8.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის თანხმობით, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს ვიდეო-კონფერენციის ან სხვა ელექტრონული საშუალებით.

8.7. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

8.8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

8.9. თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია თავად მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

8.10. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს მისი არყოფნის ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.

8.11. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. ამ ოქმის სისწორისა და სრულყოფილებისთვის პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

8.12. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მისი სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე საბჭოს წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

8.13. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით.

8.14. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:

8.14.1. დირექტორების საქმიანობის კონტროლი;

8.14.2. დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიშის მოთხოვნა;

8.14.3. საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შემოწმება; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან მოწვეულ ექსპერტებს;

8.14.4. აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები;

8.14.5. წლიური ანგარიშების და მოგების განაწილების წინადადების განხილვა;

8.14.6. დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება და მათთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა.

8.14.7. საზოგადოების შიდა აუდიტორის/შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება.

8.14.8. შიდა აუდიტის წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება და ანგარიშების მოსმენა.

8.15. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

8.15.1 საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

8.15.2 ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;

8.15.3 საზოგადოების განვითარების სტრატეგიის და ბიზნეს გეგმის დადგენა, წლიური ბიუჯეტის მიღება ;

8.15.4 ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება წინა კალენდარული წლის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 30%-ს; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ვალდებულებათა უზრუნველყოფა.

8.15.5 ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

8.15.6 სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

8.15.7 სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

8.15.8 საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ეკა კენკერაძე

8.15.9 ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, მათი ანაზღაურებისა და დამატებითი სარგებლის განსაზღვრა;

8.15.10 საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება წინა კალენდარული წლის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 30%-ს;

8.15.11 იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და ხელმძღვანელი პირების - დირექტორების კომპეტენციას.

მუხლი 9. ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორები.

9.1. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს - დირექტორები.

9.2. დირექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორები ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

9.3. საზოგადოების დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.

9.4. საზოგადოებას ჰყავს 3 (სამი) დირექტორი, რომლებიც ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ საზოგადოებას წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

9.5. დირექტორების უფლებამოსილების ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს. ამასთანავე, დირექტორების განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

9.6. საზოგადოების გენერალური დირექტორი საზოგადოების მთავარი აღმასრულებელი პირია. საზოგადოების გენერალურ დირექტორს აქვს სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

9.7. გენერალური დირექტორის უფლებამოსილება მოიცავს ყველა ფუნქციას გარდა იმისა, რომელიც ამ წესდების შესაბამისად მხოლოდ საერთო კრებასა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

9.8 გენერალური დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

9.8.1. საზოგადოების საერთო ადმინისტრაციული, ტექნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობა;

9.8.2. საზოგადოების ინტერესების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობებში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

9.8.3. საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება და მათზე კონტროლი;

9.8.4. საზოგადოების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა;

9.8.5. საზოგადოების ქონების მართვა, მისი ფულადი და სალიკვიდაციო სახსრების ჩათვლით.

9.8.6. კონტროლი საზოგადოების საბუღალტრო აღრიცხვასა და საფინანსო საქმიანობაზე;

9.8.7. საზოგადოების სახელით საბანკო ანგარიშების გახსნა და დახურვა, საზოგადოების ნებისმიერ ვალუტაში არსებული დეპოზიტების/ანაბრის ხელშეკრულებების გაფორმება/გაუქმება და შესაბამისი სახის ცვლილებების შეტანა (მათ შორის მოქმედების ვადის გაგრძელება);

9.8.8. საზოგადოების თანამშრომლების სამუშაოზე მიღება და გათავისუფლება, მათთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;

9.8.9. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

9.8.10. დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებების გაფორმება, საბანკო გარანტიის გაცემა, იპოთეკის, გირავნობის და თავდებობის ხელშეკრულებების დადება.

9.8.11. წერილობითი მინდობილობების გაცემა სხვა პირებზე საზოგადოების წარმოდგენის მიზნით;

9.8.12. გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც კანონით და ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

9.9. ფინანსური დირექტორი წარმართავს საზოგადოების ფინანსურ საქმიანობას და წარმოადგენს საზოგადოებას საბანკო და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში, თუ „საზოგადოების" სახელით განსახორციელებელი გარიგების/ტრანზაქციის ღირებულება არ აღემატება 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში.

9.10. ფინანსური დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

9.10.1 საზოგადოებაში ერთიან სტანდარტებთან შესაბამისი ფინანსური აღრიცხვის სისტემის წარმოება;

9.10.2 საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირებასა და შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

9.10.3 გადასახადებისა და მოსაკრებლების სრულად და დადგენილ ვადებში გადახდის უზრუნველყოფა;

ეკა ცენცერაძე

10.4 ძირითად საშუალებათა ინვენტარიზაციის პროცესის უზრუნველყოფა;

9.10.5 აუდიტისათვის სათანადო ინფორმაციისა და ასევე საგადასახადო სამსახურის შემოწმების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის დამუშავების უზრუნველყოფა;

9.10.6 საზოგადოების მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელება;

9.10.7 მიმდინარე ფინანსური ოპერაციების მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის საფუძველზე განხორციელება;

9.10.8 დოკუმენტური აღრიცხვიანობისა და კონტროლის (დოკუმენტების მიმოქცევის სისტემის რეგულირება) უზრუნველყოფა;

9.10.9 საფინანსო დეპარტამენტის მუშაობის ორგანიზება; საფინანსო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის, საზოგადოების წესდების, შინაგანაწესის, შიდა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

9.10.10 ფინანსური დირექტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს საზოგადოება დამოუკიდებლად, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

9.11 გაყიდვების დირექტორი წარმართავს საზოგადოების გაყიდვების დეპარტამენტის საქმიანობას და წარმოადგენს საზოგადოებას დაზღვევის პროდუქტების რელიზაციის სფეროში თუ „საზოგადოების" სახელით გასაფორმებელი გარიგების თანხა (დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ოდენობა) არ აღემატება 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში.

9.12. გაყიდვების დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

9.12.1 დაზღვევის პროდუქტების რეალიზაციის განხორციელება;

9.12.2 ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ახალი პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებული ინიციატივების გამოჩენა;

9.12.3 ახალი პროდუქტების ქსელში დანერგვის უზრუნველყოფა;

9.12.4 ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან მუშაობისას საზოგადოების იმიჯის დაცვასა და მომსახურების სტანდარტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა;

9.12.5 გაყიდვების შემდგომი სერვისის უზრუნველყოფა;

9.12.6 სადაზღვევო აგენტების საქმიანობაზე კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის გაწევა;

9.12.7 საზოგადოების გაყიდვების წლიური გეგმის მომზადებისა და გეგმის დამტკიცების შემდგომ მისი შესრულების უზრუნველყოფა;

9.12.8 სადაზღვევო პოლისების მოძრაობაზე მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა;

9.13. გაყიდვების დირექტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს საზოგადოება დამოუკიდებლად, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

10 მუხლი. საზოგადოების აუდიტის კომიტეტი

10.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთაგან სულ მცირე 1 (ერთი) წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის წევრები უნდა იყვნენ სადაზღვევო სფეროში საქმიანობის გამოცდილების მქონე პირები. მათგან არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი.

10.2. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად მიიჩნევა პირი, რომელიც საზოგადოებასთან სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის, მათ შორის, არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს, არ განიცდის აღნიშნული საზოგადოების ან სხვა, გარე მხარის გავლენას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში, აგრეთვე არ იღებს ამ საზოგადოებისგან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და საზოგადოების აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა.

10.3 აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, რომელიც იმავდროულად არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

10.4. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს და დაუყოვნებლივ ატყობინებს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.

ეკა ცენდელაძე

.5. **აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია:**

10.5.1. განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესის ზედამხედველობა;

10.5.2. განახორციელოს ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობის ზედამხედველობა;

10.5.3. განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელების პროცესის ზედამხედველობა ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;

10.5.4. განახორციელოს აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვის ზედამხედველობა;

10.5.5. მონიტორინგი გაუწიოს საზოგადოების შიდა და გარე აუდიტორებს და აქტიურად ითანამშრომლოს მათთან, აგრეთვე უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობა;

10.5.6. მონიტორინგი გაუწიოს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას; უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის სამართლიანობა, სისრულე და სათანადო კანონმდებლობასა და სტანდარტებთან შესაბამისობა;

10.5.7. განიხილოს საზოგადოების გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საზოგადოების ხელმძღვანელი პირების მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

მუხლი 11. შიდა აუდიტი

11.1. საზოგადოების საქმიანობა ექვემდებარება შიდა აუდიტორული შემოწმებას.

11.2. შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების ძირითადი მიზანია საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მართებულობის შემოწმება, მისი ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, სამართლებრივი აქტების, შიდა პროცედურების/წესების დაცვის კონტროლი და მართვის შიდა სისტემების შეფასება.

11.3. შიდა აუდიტის ფუნქციის შესასრულებლად შესაძლებელია დაინიშნოს შიდა აუდიტორი ან შეიქმნას სტრუქტურული ერთეული – შიდა აუდიტის სამსახური.

11.4. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს/თანამშრომელს/შიდა აუდიტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ხმათა უმრავლესობით.

11.5. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად/თანამშრომლად/შიდა აუდიტორად შესაძლებელია დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შესაბამისობის მოთხოვნებს.

11.6. შიდა აუდიტის სამსახური/შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დაუშვებელია მისი უფლებამოსილებებისთვის მიკუთვნებული საკითხების საზოგადოების სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის და სხვა მესამე პირებისთვის განსახილველად გადაცემა.

11.7. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შიდა აუდიტის ფუნქციის სრულყოფილად შესრულების უზრუნველსაყოფად ვალდებულია შეიმუშაოს აუცილებელი შიდა დოკუმენტები შიდა აუდიტის პოლიტიკის, შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესისა და პროცედურების შესახებ.

11.8. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია ყოველწლიურად დაამტკიცოს შიდა აუდიტის წლიური პროგრამა/კვარტალური პროგრამა. იგი უნდა შეიცავდეს სულ მცირე:

11.8.1 საქმიანობის იმ სფეროების ჩამონათვალს, რომლებშიც აუდიტორული შემოწმება უნდა ჩატარდეს;

11.8.2 აუდიტორული შემოწმების შინაარსის აღწერას საქმიანობის იმ სფეროებისთვის, რომლებშიც აუდიტორული შემოწმება უნდა ჩატარდეს.

11.9. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი/შიდა აუდიტორი სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს შიდა აუდიტორული შემოწმების შემდეგ ანგარიშებს:

11.9.1 გეგმურ ანგარიშს შიდა აუდიტის წლიური პროგრამით/კვარტალური პროგრამით განსაზღვრული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ;

11.9.2 არაგეგმურ ანგარიშს, თუ, მისი დასაბუთებული მოსაზრებით, შემოწმების შედეგად არსებითი დარღვევებია გამოვლენილი. ამასთანავე, არაგეგმური ანგარიში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უნდა წარედგინოს დარღვევების გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია არაგეგმური ანგარიშის წარდგენიდან უმოკლეს დროში უზრუნველყოს მისი განხილვა.

ეკა ცანავერაძე

11.10. შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:

11.10.1 შიდა აუდიტორული შემოწმების აღწერას;

11.10.2 შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებსა და უზუსტობებს და მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებებს/შემუშავებულ რეკომენდაციებს;

11.10.3 საქმიანობის იმ სფეროს/მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციას და სავარაუდო სამოქმედო გეგმას, რომელშიც შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად დარღვევები და უზუსტობები გამოვლინდა;

11.10.4 დასკვნას შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და უზუსტობების აღმოფხვრის შესახებ.

11.11. შიდა აუდიტის სამსახური/შიდა აუდიტორი გასცემს დასკვნებს და წარადგენს წინადადებებს შიდა აუდიტის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასმულ არაგეგმურ საკითხებზე, აგრეთვე თავისი ინიციატივით დასმულ საკითხებზე.

11.12 შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი/შიდა აუდიტორი მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა ასრულებდეს.

11.13. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი/შიდა აუდიტორი მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ჩამოართვას ახსნა-განმარტებები საზოგადოების თანამშრომლებსა და ადმინისტრატორებს, აგრეთვე სრულად მიუწვდებოდეს ხელი კომპიუტერულ ფაილებზე (მათში ცვლილების შეტანის უფლების გარეშე). ამასთანავე, იგი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებისას გახდა ცნობილი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 12. წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება

12.1. საზოგადოების გენერალური დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

12.2. თუ საზოგადოების გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათ წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

12.3. თუ წლიური შედეგების მიხედვით საზოგადოების წლიური შემოსავლები არასაკმარისია ხარჯების დასაფარად, საზოგადოებამ უნდა განაცხადოს ზარალის თაობაზე. აღნიშნული ზარალი გადაიხდება საზოგადოების ფონდებიდან და გაუნაწილებელი შემოსავლებიდან. თუ აღნიშნული ფონდები და გაუნაწილებელი შემოსავლები არასაკმარისია, ზარალი გადაიტანება შემდგომი ფინანსური წლისათვის.

12.4. არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

12.5. აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

მუხლი 13. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

13.1 საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

13.2. აქციონერთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

13.3. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება "მეწარმეთა შესახებ" და „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ეკა ცენცერაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N231478778**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**23.10.2023 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**გულთამზე ბოჭორიშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №25, ბინა №3**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**591245741**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**38939568805523**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდასამ ოქტომბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს გულთამზე ბოჭორიშვილს, სანოტარო ბიურო, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №25, ბინა №3, მომმართა: **სს „გრინ დაზღვევა საქართველო"-ს გენერალურმა დირექტორმა ეკა ცენტერაძემ** (ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 31.10.2022წ. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22137742, საიდენტიფიკაციო კოდი 404990435, რეგ. თარიღი 13.05.2013წ. იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4). მან წარმოადგინა **სს „გრინ დაზღვევა საქართველო"-ს (ს/ნ 404990435) წესდება (ახალი რედაქცია)** და მოითხოვა მასზე თავისი ცამეტი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

- წინამდებარე სანოტარო მოქმედება ხელმომწერის თხოვნით შესრულდა სანოტარო ბიუროს გარეთ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ა. კალანდაძის ქ. №4**.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ეკა ცენტერაძემ** (დაბ. 28.09.1980წ. პირადი №01006008925, პ/მ 13II39069, გაც. 25.03.2015წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი 28, ბინა 85) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ხელმომწერს განვმარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილ **წესდებაში** მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ **სს „გრინ დაზღვევა საქართველო"-ს გენერალურმა დირექტორმა ეკა ცენტერაძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **სს „გრინ დაზღვევა საქართველო"-ს (ს/ნ 404990435) წესდებას (ახალი რედაქცია).**

წინამდებარე **წესდება** შედგენილია ქართულ ენაზე 7 (შვიდ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად (თითოეული ეგზემპლარი შედგება ცამეტი ფურცლისაგან, ერთ ეგზემპლარზე შერულდა ცამეტი ხელმოწერა; შვიდ ეგზემპლარზე ჯამში შესრულდა 91 (ოთხმოცდათერთმეტი) ხელმოწერა).

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (273,00) ორას სამოცდაცამეტი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა. აგრეთვე: (35,00) ოცდათხუთმეტი ლარი - სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 34-ე მუხლის II ნაწილისა. აგრეთვე დღგ (55,44) ორმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. აგრეთვე 5.00 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ (368,44) სამას სამოცდარვა ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი.

ნოტარიუსი
გულთამზე ბოჭორიშვილი